



აღრიცხვა ფილიალების მიხედვით

#ცხოვრებაშიმთავარიაბალანსი

www.balance.ge

ფილიალების მიხედვით აღრიცხვიანობა

უპირველეს ყოვლისა, ფილიალების მიხედვით აღრიცხვიანობა პროგრამულად საჭირო არის მაშინ, როდესაც თითოეული ფილიალი განიხილება ცალკე ბიზნეს ერთეულად.

უკანასკნელში იგულისხმება, რომ ფილიალების ჭრილში გამიჯნულია არა მარტო შემოსავალ-ხარჯი, არამედ საბალანსო ანგარიშებიც (ბანკი, სალარო, საქონელი, მოთხოვნები, ვალდებულებები და ა. შ.) ამის შედეგად თითოეული ფილიალისთვის, ვლებულობთ არა მხოლოდ საკუთარ მოგება-ზარალის ანგარიშგებას, არამედ ბალანსისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებსაც. ფილიალების ჭრილში აღრიცხვისას, ყველანაირი დოკუმენტის გატარებისას მიეთითება რომელი ფილიალის მოძრაობაა.

იმისათვის რომ შევძლოთ ფილიალების მიხედვით აღრიცხვა უნდა ჩავრთოთ ალამი „აღრიცხვა ფილიალების მიხედვით“

← → ფინანსური აღრიცხვა

აღრიცხვის ვალუტა: ▼

მიითითებულ ვალუტაში მოხდება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება.

აღრიცხვა ფილიალების მიხედვით [თილიალები](#)

აღნიშნული ოფიცია უზრუნველყოფს განცალკევებულ ბუღალტრულ ფილიალების სიის გახსნა აღრიცხვას თითოეული ფილიალისათვის.


შემდეგ მისამართზე



როგორ დავამატოთ ფილიალები?

ფილიალების დამატება შესაძლებელია როგორც ადმინისტრირებიდან ისე „მთავარი“ ქვესისტემის ჯგუფიდან ცნობარები

- ძირითად მენიუში აირჩიეთ ადმინისტრირების ქვესისტემა
- აღრიცხვის აწყობების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „ფინანსური აღრიცხვა“
- დააჭირეთ ლინკს „ფილიალები“



← → ფინანსური აღრიცხვა


აღრიცხვის ვალუტა: GEL

მიითითებულ ვალუტაში მოხდება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება.

აღრიცხვა ფილიალების მიხედვით **ფილიალები**

აღნიშნული ოფცია უზრუნველყოფს განცალკევებულ ბუღალტრულ ფილიალების სიის გახსნა აღრიცხვას თითოეული ფილიალისათვის.

- დააჭირეთ „შექმნა“ ლილავს 



ფილიალი (შექმნა)

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა პიდევი

ზემდგომი ფილიალი: 3

დასახელება: 1

სრული დასახელება: 2

- შეავსეთ ფილიალის შესაბამისი დასახელება **1** და სრული დასახელება **2** (სურვილისამებრ)
- იმ შემთხვევაში თუ ფილიალები დაყოფილი გვაქ ასევე იერარქიულად შეგვიძლია მივუთითოთ შესაბამისი ზემდგომი ფილიალი **3**

ფილიალებით აღრიცხვიანობის ავტომატიზაცია

შესაძლებელია პროცესის ავტომატიზაცია იმგვარად, რომ პროგრამის მომხმარებელს მიეთითოს რომელი ფილიალის წარმომადგენელია და სისტემა დეფოლტად შეავსებს ფილიალის ველს შესაბამისი მნიშვნელობით.

მომხმარებლის ჭრილში ფილიალების ავტომატიზირება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:



← → მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები

მომხმარებლის ადმინისტრირება, წევლობის ჯგუფის აწყობა, გარე მომხმარებლებისთვის წევლობის უზრუნველყოფა, მომხმარებლის აწყობ...

მომხმარებლები [მისვლის აწყობები](#) 30 დეკ

პროგრამასთან მომუშავე მომხმარებელთა სიის წარმოება. პაროლის სირთულე და პაროლების შეცვლა, არააქტიური მომხმარებლის მონიტორინგის მუშაობის მუშაობა.

- მას შემდეგ რაც დავაჭერთ ლინკს „მომხმარებლები“ გამოვა შემდეგი ფორმა

← → ☆ მომხმარებლები

⊕ ⊕ ⊕ ⊕ ⊕

⊕ Все пользователи

მოლარე ოპერატორი

საცავი

- სასურველი მომხმარებელზე დააჭირეთ ორჯერ

← → ☆ მოლარე ოპერატორი (მომხმარებელი)


[ძირითადი](#) **[პარამეტრები](#)** [წევლობის უფლება](#) [ჯგუფები](#) [აწყობები](#) [ინტერფეისი](#)

მომხმარებლის აწყობები

აწყობა	მნიშვნელობა
⊖ ძირითადი მნიშვნელობები დოკუმენტების და ცნობარების შევსებისთვის	
თანხა შეივსავს დღგ-ს	არა
ძირითადი ავტორიზაციის სტატუსი	მომზადებული
ძირითადი დეპარტამენტი	
ძირითადი სალარო	
ძირითადი სალარო აპარატი	
ძირითადი საწყობი	
ძირითადი ფასის ტიპი	
ძირითადი ფილიალი	თბილისის თიოიალი
Выводить вопрос созданию первого прайс листа организации	არა
Открывать прайс лист организации как список	არა
Рабочий прайс лист организации	

- გადადით ლინკზე „პარამეტრები“
- მიუთითეთ სასურველი ფილიალი ძირიად ფილიალის მნიშვნელობაში.

თუ გვინდა, რომ ფულის მოძრაობა ავტომატურად გატარდეს შესაბამის ფილიალზე, აუცილებელია საბანკო ანგარიში გაიხსნას ყველა ფილიალისთვის ცალ-ცალკე.



● GE**BG0000000***** (GEL) (საბანკო ანგარიში) — □ ×

☆ GE**BG0000000***** (GEL) (საბანკო ანგარიში) ↻ ⋮

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კოდები ?

მფლობელი: სატესტო კოდი1 ...

ანგარიშის ნომერი: GE**BG0000000***** მულტისაქვალუტო ვალუტა: GEL

ბუღალტრული ანგარიშები: 1210.01:

ბანკი, რომელშიც გახსნილია ანგარიში

ბანკის კოდი: BAGAGE22 ბანკის ფილიალი:

დასახელება: GE**BG0000000***** (GEL)

ბანკი: საქართველოს ბანკი

ფილიალი: თბილისის ფილიალი

ამ შემთხვევის მხარდაჭერა გათვალისწინებულია ამონაწერის შეიმპორტების ავტომატიზაციაში. იმ შემთხვევაში, თუ ერთი საბანკო ანგარიში გამოიყენება ყველა ფილიალისთვის, ამონაწერის შეიმპორტების დროს საჭიროა მექანიკურად მიეთითოს შესაქმნელი დოკუმენტის ფილიალი. კონტრაგენტის ხელშეკრულების მითითება საჭირო აღარ იქნება, საკმარისია მხოლოდ ფილიალი მიეთითოს.

თუ ცალკეული ფილიალისთვის რეალურად არ არსებობს ცალკე საბანკო ანგარიში, ბანკის ამონაწერის შეიმპორტების დროს კონტრაგენტებთან ანგარიშსწორებების კონტროლისათვის მექანიკურად ჩარევა ორივე ვარიანტის შემთხვევაში იქნება საჭირო. ფილიალებით აღრიცხვიანობის შემთხვევაში უნდა მივუთითოთ ფილიალი. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაგენტის ხელშეკრულება.

ხოლო ცალკე საბანკო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული ანგარიშის გატარებების მიხედვით, პროგრამა თავად განსაზღვრავს, რომელი ფილიალის თანხის მოძრაობაა.

გაითვალისწინეთ !

- ფილიალების ჭრილში გამიჯნულია მყიდველებთან და მომწოდებლებთან დავალიანებები და საჭირო აღარ არის ცალკე ხელშეკრულებების დამატება.

ყველანაირი გატარება გამიჯნულია ფილიალების მიხედვით და ყველა საჭირო ინფორმაციის ამოღებას შევძლებთ ფილიალების ჭრილში.

(ყველა დოკუმენტზე მითითებული უნდა იქნას შესაბამისი ფილიალი)

- ხოლო როდესაც სხვადასხვა ფილიალის თანხის თუ რამე აქტივი ან ვალდებულება უნდა გადავიდეს ფილიალიდან ფილიალზე, უნდა გაფორმდეს ფილიალებს შორის გატარება, რაც შუალედური ანგარიშის გამოყენებით ხდება. ეს გათვალისწინებულია საქონლისა და ძირითადი საშუალებისთვის გადაადგილების დოკუმენტებში. სხვა შემთხვევებში საჭიროა ორი დოკუმენტის გაფორმება. ერთი დოკუმენტი კონკრეტული ფილიალის გასავალს დააფიქსირებს, ხოლო მეორე - სხვა ფილიალში შემოსავალს. (მაგ. სალაროს ნაშთის გადატანისას ერთი ფილიალიდან მეორეზე უნდა გაფორმდეს სალაროს გასავლის ორდერი ერთ ფილიალში და შემოსავლის ორდერი მეორე ფილიალში).
- საწყისი ნაშთების მომზადება უნდა მოხდეს ფილიალების ჭრილში. აქ იგულისხმება, რომ ყველა არსებული ბუღალტრული ანგარიშის ნაშთი უნდა გაიყოს ფილიალების მიხედვით. მათ შორის გაუნაწილებელი მოგება და კაპიტალის ანგარიშებიც. თუმცა შეიძლება კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება-ზარალი და სხვა ანგარიში, რომლის ნაშთი არ განიხილება ფილიალის ჭრილში, გატარდეს ერთ „ძირითად ფილიალზე“. ამ შემთხვევაში, წლის ბოლოს, როცა მოგება-ზარალი განისაზღვრება ფილიალების ჭრილში, საჭირო იქნება მისი გადატანა „ძირითად ფილიალზე“. იმ შემთხვევაში, თუ მოგება-ზარალის დანახვა საჭირო არ არის ფილიალების ჭრილში, შესაძლებელია არ გადავიტანოთ ნაშთი შესაბამის ფილიალზე. რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მოგება-ზარალის დანახვა შესაძლებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ ჩავრთავთ ფილიალების მიხედვით აღრიცხვას,

- შემოსავლების და ხარჯების გაყოფა შესაძლებელია დეპარტამენტების მიხედვით. თუ დავამატებთ დეპარტამენტებს ფილიალების მიხედვით და ნებისმიერი შემოსავლის ან ხარჯის გატარებისას მივუთითებთ კონკრეტულ დეპარტამენტს, მივიღებთ საჭირო ინფორმაციას.
- ასევე გამიჯნული იქნება დეპარტამენტების მიხედვით საქონლის შესყიდვები და გაყიდვები, ვინაიდან საქონლისა და მომსახურების მოძრაობის დოკუმენტებზე შესაძლებელია დეპარტამენტის მითითება. რაც შეეხება საქონლის ნაშთს, ყველა დეპარტამენტისთვის დამატებული უნდა იყოს ცალკე საწყობი.



- რაც შეეხება ანგარიშსწორებების კონტროლს, დეპარტამენტების ჭრილში შესაძლებელია დავამატოთ კონტრაგენტების ხელშეკრულება, რაც გამიჯნავს დავალიანებებს დეპარტამენტების ჭრილში. თუმცა ამ შემთხვევაში ამონაწერის შეიმპორტების დროს შესაქმნელ დოკუმენტს მექანიკურად უნდა მიეთითოს კონტრაგენტის ხელშეკრულება.